განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

22 ნოემბერი, 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 11.12.2012, N761

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული - საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია - შპს ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარჩევი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 4

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

1.1. პროგრამის მიზნები 6

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები 7

3) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 9

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 9

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 10

2.3. სასწავლო კურსი 13

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 14

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები 15

2.6. სტუდენტების შეფასება 16

4) სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 18

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 18

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 20

5) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 21

4.1. ადამიანური რესურსი 21

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 23

4.3. მატერიალური რესურსი 24

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა... 26

6) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 27

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 27

5.2. გარე ხარისხის შეფასება 29

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 32

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეო¬რიუ¬ლ-პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში და ბაკალავრის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პროგრამას სამი ძირითადი მიზანი აქვს: (1) დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით. შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინტერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში; (2) ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და კლინიკური ფსიქოლოგიისა მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის გადაცემა; (3) ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (30 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კურსები (30 კრედიტი, აქედან 20 კრედიტი ზოგადი და 10 კრედიტი პროფესიული ინგლისური ენის კურსები); (გ) ძირითადი სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (დ) არჩევითი პროფესიული სასწავლო კურსები (60 კრედიტი, მათ შორის, სტუდენტებს ეძლევათ მეორე უცხო ენის არჩევანის საშუალება (20 კრედიტი) და თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე უცხო ენის და თავისუფლი კრედიტებისთვის განკუთვნილი კრედიტები (30 ECTS) სტუდენტმა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება აითვისოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში შემოთავაზებულია სამი არჩევითი კონცენტრაცია (30 კრედიტის მოცულობით): კლინიკური ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია. აღნიშნული სტრუქტურა, როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსებისა და კრედიტების გადანაწილების თვალსაზრისით, უმეტესწილად, შეესაბამება და აკმაყოფილების მინისტრის ბრძანების (N69/ნ) მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ „ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის“ შეფასება 2021 წლის 7 ოქტომბერსდისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა

და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„ფსოქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამა, მეტწილად, ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

2.2.

- არჩევითი კურსების გაერთიანებებს, რომლებსაც პროგრამაში „კონცენტრაცია" ეწოდება, მოეძებნოს მეტად შესატყვისი სახელწოდება, რომელიც კურსების ამ ერთობლიობების მოქნილ და არჩებით ბუნებას უკეთ ასახავს.

5.3.

- გარდა ამ გამოკითხვებისა და შეფასებებისა, უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტები, რათა დეტალურად იყოს ცნობილი, რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში. ამრიგად, რეკომენდებულია სისტემატური კვლევით შეგროვილი მონაცემების მეტად შინაარსობრივი და დეტალური ანალიზის განხორციელება.

- **რჩევები**

2.3.

- გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.

4.1.

- კვლევით საქმიანობაში (საბაკალვრო თემის ხელმძღვანელად) ჩართული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომელსაც კვლევითი მიმართულებით სათანადო გამოცდილება გააჩნიათ და ფლობენ დოქტორის აკადემიური ხარისხს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი ცოდნისა და ტრანსფერული უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ საბაზო თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის დაუფლებას ფსიქოლოგიის დარგების ძირითად დისციპლინებში და ბაკალავრის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროგრამას სამი ძირითადი მიზანი აქვს: (1) დარგობრივი სასაწავლო კურსების შესწავლის შედეგად, სტუდენტებმა ფსიქოლოგიის სფეროში შეიძინონ მყარი საფუძველი საბაზო ცოდნის სახით. შეძლონ შეძენილი ცოდნის კონცეპტუალიზაცია და გამოყენება, როგორც სხვებთან ინტერაქციის პროცესში, ისე საკუთარ ქცევასთან და სოციუმში საკუთარ როლთან მიმართებაში; (2) ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და კლინიკური ფსიქოლოგიისა მიმართულებით ძირითადი ცნებების, პრინციპების, თანამედროვე გამოწვევების შესახებ გარღმავებული ცოდნის გადაცემა; (3) ფსიქოლოგიის სფეროს საფუძვლიანი შესწავლის შედეგად სტუდენტებისთვის გაუმჯობესებული კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მსჯელობისა და კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი, თუ რას გულისხმობს თითოეული მიზნის მიღწევა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებს ექნებათ საშუალება შეიტანონ წვლილი ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერულ, ისე დარგობრივ განვითარებაში.

პროგრამის მიზნები, ერთი მხრივ, შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

მეორე მხრივ, როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, ისე — აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრამ აჩვენა, რომ პროგრამის მიზნების, კერძოდ, მეორე მიზნის მიღწევას პროგრამა კონცენტრაციების მეშვეობით აპირებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა ორი გარემოება:

1) კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტში კი ვკითხულობთ: „უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის

სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.“ პროგრამის აღწერილობიას და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონცენტრაციებიდან სტუდენტმა 30 კრედიტი უნდა მოაგროვოს და ეს კრედიტები არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს, რაც ეწინააღმდეგება კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტს (ასევე, იხ. ქვესტანდარტი 2.2). 2) როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს მსვლელობისას აღნიშნა (და ეს დოკუმენტურადაც დასტურდება) თითოეული კონცენტრაცია მთლიანად არჩევითი კურსებისგან შედგება. შესაბამისად, ამ არჩევითი კურსების, განურჩევლად იმისა, ისინი კონცენტრაციად ერთიანდებიან თუ არა პროგრამაში, შედეგები არ უნდა იყოს ასახული არც პროგრამის მიზანში და არც -- შედეგებში (ასევე, იხ. ქვესტანდარტი 1.2 და 2.2). ყოველივე ზემოთ თქმულმა, შესაბამის სექციაში წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი შექმნა, რომელიც ფორმულირებული იქნა შემდეგნაირად: „გადაიხედოს და რეფორმულირდეს პროგრამის მიზნები კლასიფიკატორთან შესაბამისობაში.“ ასევე, დასკვნის პროექტში აღინიშნული იყო, რომ პროგრამის მიზნებთან (და შედეგებთან, იხ. ქვესტანდარტი 1.2) დაკავშირებით ეს რეკომენდაცია მართებული იქნებოდა, თუ პროგრამის საბოლოო ვერსიაში შენარჩუნებულ იქნება კონცენტრაციები. უსდ-დან მიღებულ არგუმენტირებულ პასუხში ვკითხულობთ: „მზად ვართ, გავითვალისწინოთ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსების ერთობლიობას დავარქვათ „მოდული“ან რაიმე სხვა შემოთავაზებული სახელი“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა დასკვნის საბოლოო ვერსიიდან იმ პირობით, რომ გათვალისწინებული იქნება 2.2 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • კავკასიის უნივერსიტეტის დებულება; • კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება; • კლასიფიკატორი; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამას ხუთი სწავლის შედეგი აქვს, რომლებიც ქვეშედეგებად არის დეტალურად ჩაშლილი. ეს შედეგებია: (1) სტუდენტები ავლენენ ფსიქლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას; (2) კვლევის თანამედროვე საშუალებებისა და მიდგომების გამოყენებით, სტუდენტები ატარებენ კვლევას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; (3) სტუდენტები იყენებენ მოცემული სფეროს ფუნდამენტური ეთიკური პრინციპებისა და პასუხიმგებლობის შესახებ ცოდნას; (4) სტუდენტები ავლენენ კრიტიკული აზროვნების, ამოცანის გადაწყვეტისა და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. და (5) კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, სტუდენტები ავლენენ სწავლის გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ყველა ის თეორიული ცოდნა, უნარი თუ პასუხისმგებლობა, რომელსაც პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულს. როგორც პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების ანგარიშში, ისე -- თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ისახავს მოცემული კურსი.

სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად უნივერსიტეტში (და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაშიც) შემუშავებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია. ასევე, გაწერილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები.

ვიზიტმა და დოკუმენტების გაცნობამ აჩვენა, რომ რომ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები, ერთი მხრივ, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

მეორე მხრივ, როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში (შედეგი 1: ავლენენ ფსიქოლოგიის ცალკეული მიმართულებებისა და გამოყენებითი სფეროების როგორიცაა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ფსიქოლოგია, კონსულტირება, სოციალური და კულტურული, ორგანიზაციული და ადამიანური რესურსების სისტემურ ცოდნას) ასახულია კონკრეტული კონცენტრაციის შედეგებიც.

ცხადია, პროგრამაში, რომელიც კონცენტრაციებს მოიცავს, კონცენტრაციის სწავლის შედეგი, პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა იყოს ასახული. (კლასიფიკატორის მე-6 მუხლი, მე-7 პუნქტი). ეს თუ ასეა, მაშინ რეკომენდებულია თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი ცალკე იყოს გამოყოფილი, ვინაიდან, მაგალითად, შრომის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს კლინიკური ფსიქოლოგიის შესატყვისი კომპეტენცია ვერ გამოუმუშავდება. (ასევე, იხ. ქვესტანდარტი 2.2)

ყოველივე ზემოთ თქმულმა, შესაბამის სექციაში წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი შექმნა, რომელიც ფორმულირებული იქნა შემდეგნაირად: „თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი ცალკე იყოს გამოყოფილი, რათა რომელიმე მათგანის არჩევის შემთხვევაში ნათლად იყოს გამოკვეთილი, რომელ კომპეტენციებს შეიძლებს სტუდენტი.“ ასევე, დასკვნის პროექტში აღინიშნული იყო, რომ პროგრამის შედეგებთან (და მიზნებთან, იხ. ქვესტანდარტი 1.1) დაკავშირებით ეს რეკომენდაცია მართებული იქნებოდა, თუ პროგრამის საბოლოო ვერსიაში შენარჩუნებულ იქნება კონცენტრაციები.

უსდ-დან მიღებულ არგუმენტირებულ პასუხში ვკითხულობთ: „მზად ვართ, გავითვალისწინოთ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩევითი დარგობრივი

სასწავლო კურსების ერთობლიობას დავარქვათ „მოდული“ან რაიმე სხვა შემოთავაზებული სახელი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა დასკვნის საბოლოო ვერსიიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • კლასიფიკატორი; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐			

3) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებიც (ა) აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, რომელზეც უცხო ენად მოითხოვება ინგლისური ენის ჩაბარება ან (ბ) პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით უსდ სისტემატურად ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ შეხვედრებზე პოტენციურ აპლიკანტებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია მიმდინარე საბაკალავრო პროგრამების შესახებ (გარდა ზეპირი კომუნიკაციის და მათ ასევე ურიგდებათ შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები). აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, რომელიც დაინტერესებულ პირს სრულ ინფორმაციას აწვდის არსებული პროგრამების, მათი ღირებულების, დასაქმების და სწავლის გაგრძელების პერსპექტივების, უსდ-ის მოცემული სკოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიისა და კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიის შესაბამისად. შეესაბამება უნივერსიტეტის სტანდარტსა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს.

240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები (30 კრედიტი), (ბ) ინგლისური ენის კურსები (30 კრედიტი, აქედან 20 კრედიტი ზოგადი და 10 კრედიტი პროფესიული ინგლისური ენის კურსები); (გ) ძირითადი სასწავლო კურსები (120 კრედიტი, მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის) და (დ) არჩევითი პროფესიული სასწავლო კურსები (60 კრედიტი, მათ შორის, სტუდენტებს ეძლევათ მეორე უცხო ენის არჩევანის საშუალება (20 კრედიტი) და თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე უცხო ენის და თავისუფლი კრედიტებისთვის განკუთვნილი კრედიტები (30 ECTS) სტუდენტმა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება აითვისოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამაში შემოთავაზებულია სამი არჩევითი კონცენტრაცია (30 კრედიტის მოცულობით): კლინიკური ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგია და გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია.

როგორც 1.1 ქვესტანდარტის აღწერილობაშია აღნიშნული, კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „უმაღლესი განათლების პირველი და მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით.“

პროგრამაში მოცემული სახით გაერთიანებული არჩევითი საგნები, რომლებიც ცალკეულ კონცენტრაციებად არის მოხსენიებული, ფაქტობრივად, არ შეესაბამება წარმოდგენილ ჩანაწერს, ვინაიდან: (ა) პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგების, პროგრამის აღწერილობისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კონცენტრაციები მთლიანად არჩევითია და სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ან არ აირჩიოს რომელიმე მათგანი, რაც კითხვის ნიშანს ბადებს პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების მიმართულებით. თუ სტუდენტი, ერთი მხრივ, არ ირჩევს არც ერთს, მაშინ, კლასიფიკატორის შესაბამისად, სწავლის შედეგებში გაწერილ კომეტენციებს ვერ იძენს და, მეორე მხრივ, თუ ირჩევს ერთ-ერთ მათგანს, ასევე ვერ აღწევს სწავლის ყველა შედეგს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ არის გაწერილი კონცენტრაციების მიხედვით (იხ. ქვესტანდარტი 1.2 და შესაბამისი რეკომენდაცია); ასევე, როგორც ინტერვიუების დროს ითქვა, სტუდენტს შეუძლია შერეულად აირჩიოს კურსები სხვადასხვა კონცენტრაციიდან, რაც ისევ სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების საკითხს აყენებს. (ბ) კლასიფიკატორის მიხედვით, საბაკალავრო პროგრამაში წარმოდეგნილი კონცენტრაცია უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 30 კრედიტისა, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით. წარმოდგენილი დოკუემენტაციის მიხედვით, საბალაკავრო ნაშრომი (10 კრედიტის მოცულობით) არ არის გათვალისწინებული კონცენტრაციის შემადგენლობაში და ცალკე სავალდებულო აქტივობად არის წარმოდგენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში (ქვესტანდარტი 2.2) „კონცენტრაციის“ ურთიერთშემნაცვლებელ ტერმინად გამოყენებულია „მოდული“ ან „კონცენტრაციის მოდული“, ხოლო პროგრამის აღწერილობაში გამოყენებულია ფრაზა „სასწავლო კურსი/მოდული“.

ასევე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, აღნიშნული კონცენტრაციების აღება ნებაყოფლობითი და არჩევითია, შესაბამისად, თითოეული მათგანი მხოლოდ არჩევითი კურსებისგან შედგება. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანი რჩება, კონცენტრაციების შემოტანის დამიშნულება და მიზანი პროგრამაში, თუ სტუდენტი არ არის ვალდებული, რომ ერთ-ერთი მათგანი აირჩიოს და შესაბამის სწავლის შედეგებზე/კომპეტენციების ათვისებაზე გავიდეს. მეორე მხრივ, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის რომელიმე ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით კურსების აღების დავალდებულება გაუმართლებელია და, მაშასადამე, პროგრამის განმახორციელებელთა პოზიცია,

რომ აღნიშნულ ე. წ. კონცენტრაციებში შემავალი ყველა კურსი (და თავად კონცენტრაცია მთლიანად) არჩევითია. (ასევე, პროგრამის სწავლის შედეგებში ცალ-ცალკე არ არის გაწერილი სწავლის შედეგები, იხ. ქვესტანდარტი 1.2). ყველა წარმოდგენილი დოკუმენტისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, გაჩნდა მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა სახელწოდებას არქმევენ პროგრამის განმახორციელებდები სამ ჯგუფად გაერთიანებულ არჩევით კურსებს, პროგრამა ფსიქოლოგიის სფეროში ცოდნის/უნარების მიღებისა და გაღრმავების მრავალფეროვან და დიდი დიაპაზონის არჩევანს აძლევს სტუდენტებს, თუმცა კურსების ამ გაერთიანებების „კონცენტრაციის“ სახელით მოხსენიებას წინააღმდეგობაში მოჰყავს ის კლასიფიკატორთან და პროგრამის სტრუქტურის გადაწყობის საჭიროების საკითხს აყენებს (მაგალითად, 10 კრედიტიანი საბალაკავრო ნაშრომის 30 კრედიტიანი კონცენტრაციის ფარგლებში შეტანა, კონცენტრაციებიდან ერთ-ერთის არჩევის ვალდებულება და შესაბამისი სწავლის შედეგების დანაწევრებულად გაწერა თითოეული კონცენტრაციისთვის). ამ გარემოებამ შექმნა ქვემოთ შესაბამის სექციაში წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი, რომელიც ფორმულირებული იქნა შემდეგნაირად: „არჩევითი კურსების გაერთიანებებს, რომლებსაც პროგრამაში „კონცენტრაცია“ ეწოდება, მოეძებნოს მეტად შესატყვისი სახელწოდება, რომელიც კურსების ამ ერთობლიობების მოქნილ და არჩებით ბუნებას უკეთ ასახავს. ამგვარად, აღარ იქნება 1.1, 1.2 და ამ (2.2) ქვესტადარტის შესაბამისი, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საჭიროება..“ უსდ-დან მიღებულ არგუმენტირებულ პასუხში ვკითხულობთ: „მზად ვართ, გავითვალისწინოთ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და საკითხში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, არჩევითი დარგობრივი სასწავლო კურსების ერთობლიობას დავარქვათ „მოდული“ან რაიმე სხვა შემოთავაზებული სახელი“. მიუხედავად უსდ-ის მზაობისა, გაითვალისწინოს დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაცია, ექსპერტთა ჯგუფს დასკვნის მომზადება წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრნობით უწევს. შესაბამისად, მზაობის შესახებ განაცხადი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პოზიციის შესაცვლელად. ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია უცვლელად რჩება დასკვნის საბოლოო ვერსიაში. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; • უსდ-ის ვებგვერდი; • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; • ფსიქოლოგიის საბალაკავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმოამდგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • არჩევითი კურსების გაერთიანებებს, რომლებსაც პროგრამაში „კონცენტრაცია“ ეწოდება, მოეძებნოს მეტად შესატყვისი სახელწოდება, რომელიც კურსების ამ ერთობლიობების მოქნილ და არჩებით ბუნებას უკეთ ასახავს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის მოდული და თითოეულ მოდულში შემავალი ცალკეული კურსი. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩენა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსში ერთი და იგივე საკითხავი ლიტერატურა არის მითითებული, მაგალითად, ი. იმედაძის „ფსიქოლოგიური საფუძვლები“ სავალდებულო საკითხავ ლიტერატურად მითითებულია ფსიქოლოგიის საფუძვლებისა და პიროვნების ფსიქოლოგიის კურსებში, ხოლო გერიგისა და ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ სავალდებულო ლიტერატურაა „ფსიქოლოგიის საფუძვლების“, „პიროვნების ფსიქოლოგიისა“ და „განვითარების ფსიქოლოგიის“ კურსებში. აღნიშნულმა გარემოებამ შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-დან მიღებულ არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნულია, რომ ერთ კურსში უკვე შეიცვალა ლიტერატურა ისე, რომ დუბლირება აღარ ხდება, თუმცა ლიტერატურის ურთიერთგადაფარვის ერთზე მეტი შემთხვევა იქნა დაფიქსირებული. შესაბამისად, უსდ-ის პოზიცია ნაწილობრივ არის გაზიარებული და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით ლიტერატურის გადასინჯვის რეკომენდაცია დასკვნის საბოლოო ვერსიაში წარმოდგენილია რჩევის სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • ბიბლიოთეკის ონლაინ დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: პროგრამის გუამჯობესების მიზნიდან გამომდინარე, სასურველია: • გადაიხედოს და განახლდეს პროგრამაში შემავალ კურსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა ისე, რომ არ ხდებოდეს წყაროების დუბლირება სხვადასხვა კურსის ფარგლებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ის პუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლას, რომლის ბაზაზეც განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა, დეკლარირებული აქვს თავის საქმიანობაში აკადემიური სწავლებისა და კვლევის განუყოფლობის პრინციპი. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში (1 და 2), სტატისტიკური მეთოდებისა და კვლევის მონაცემთა დამუშავება SPSS-ით (ორსემესტრიანი კურსი) და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა

შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა შესაბამისი კურსების სწავლების სემესტრსა და სწავლების მერვე სემესტრში, როდესაც სტუდენტები მუშაობენ საბაკალავრო ნაშრომზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამასა და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას. ამასთან, პროგრამის ფარგლებში მთლიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ბაზისური კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგზე ორიენტირებულია 35 ECTS მოცულობის კურსები, რაც ჯამში (დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჩათვლით) 875 საათს შეადგენს. **პრაქტიკის კომპონენტი** გათვალისწინებულია პროგრამაში შემავალი ფართო სპექტრის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახით, რომლებიც შეთავაზებულია კლინიკური ფსიქოლოგიის, გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და ადამიანური რესურსების მართვის ფსიქოლოგიის კონცენტრაციების ფარგლებში. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს. თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), საბაკალავრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება რეგულარულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს – სათანადო კონსულტირების საშუალება. რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს,** პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთანინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, მეტწილად, სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები გამოიყენება, რომლებიც განაპირობებენ ამ

კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი; • კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში მოწვეული სპიკერებისა თუ სასწავლო კურსების ფარგლებში განხორციელებული გასვლითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02); ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით (2004.21.12) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების" დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება

№3; 2007.05.01) განსაზღვრულია შეფასება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებები. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად, მათ შორის სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომლის ხვედრით წილს სასწავლო კურსის შინაარსის, შეფასების ფორმების, მეთოდებისა და კრიტერიუმების სწავლის შედეგების გათვალისწინებით განსაზღვრავს კურსის ხელმძღვანელი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 30%, დასკვნითი შეფასების 50%.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა საგნის ლექტორი პირველ შეხვედრაზევე აცნობს მათ სილაბუსს, შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების რუბრიკას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს, თვალი ადევნოს თავის მიმდინარე შეფასებებს, იქონიოს «ონლაინ» კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე.

კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

რაც შეეხება, საგამოცდო პროცედურებს აგვარებს და ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახური, ყველა ნაშრომი ანონიმურია და ლექტორს დაშიფრული კოდით გადაეცემა.

უნივერსწიტეტში მოქმედებს დებულება „გამოცდების ჩატარების შესახებ", რომელიც ყოველივე ზემოთაღნიშნულს არეგულირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • გამოცდების ჩატარების შესახებ დებულება; • ვებგვერდი; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; • პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	▯			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სწავლების პროცესთან დაკავშირებით, ადმინისტრაციისგან თუ პერსონალისგან სათანადო კონსულტაცია მიიღონ. ზოგადად უსდ-ში ყველა პირველკურსელს უტარდება საორიენტაციო ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებლობა აქვთ, უკეთ გაეცნონ პროგრამასა და უნივერსიტეტში არსებულ სერვისებს.

უსდ-ში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის დახმარებითაც სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის პროცესთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაცია მიიღონ.

სტუდენტის პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელი ინფორმაციის, კონსულტაციის და დახმარების საქმეში ხელმძღვანელობა ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი პრაქტიკით. კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც თავმოყრილია ყველა აუცილებელი ინფორმაცია უნივერსიტეტის სკოლებში მოქმედი პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს აკადემიური მენეჯერისგან და პროგრამების დირექტორისგან მისთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

ასევე, უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას, მათთვის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. როგორც ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, სტუდენტებს, მეილებისა და ელექტრონული ბაზის საშუალებით, სხვადასხვა ვაკანსიაზე მიეწოდებათ ინფორმაცია. ასევე, აღნიშნული სერვისი ყოველწლიურად ატარებს დასაქმების ფორუმებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს სხვადასხვა კომპანიის დამსაქმებლებთან შეხვედრა და მათგან კონსულტაციის მიღება შეუძლიათ.

კავკასიის უნივერსიტეტში არსებული გარემოს შეფასების მიზნით სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები ადმინისტრაციის თანამშრომლები. კერძოდ, პროგრამის მენეჯერები, რომელთა მხრიდან სტუდენტთათვის ყველა საჭირო ინფორმაციისა თუ საკითხის გაზიარება ხდება. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი თავიანთი პროგრამის მენეჯერებისგან იმაზე ბევრად მეტ მხარდაჭერას იღებენ, ვიდრე მათ ფუნქცია მოვალეობებში შედის.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტში არსებული სერვისებითა და მომსსახურებით, დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათ ინფორმაციის მიწოდებისა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კუთხით, არანაირი პრობლემა არ აქვთ, ასევე უნივერსიტეტში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა, (CU.EDU.GE) რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. ამავე პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ წვდომა, კურსების სილაბუსებსა და ცხრილზე სემესტრის დასაწყისიდან დასრულებამდე მათ აქვთ საშუალება თვალი ადევნონ, თავიანთ აკადემიურ მოსწრებას.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, ისარგებლონ Erasmus + - ით. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს მსვლელობისას გაირკვა, რომ მათ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამების შესახებ მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია. რამდენიმე მათგანს ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის მიღების გამოცდილებაც ჰქონდა.

სტუდენტები სწავლის პროცესზე, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებზე, კოფერენციებზე ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის ვებ-საიტის https://www.cu.edu.ge, კორპორატიული მეილებისა და ელექტრონული ბაზის მეშვეობით იღებენ. გარდა ამისა, მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ უნივერსიტეტის

ადმინისტრაციასთან და არსებულ საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ პირებთან. საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამატებით კონსულტაციას. საკონსულტაციო სააათების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თითოეული საგნის სილაბუსში, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სტუდენტები ამ გზითაც ინფორმირებულები არიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება; ▪ უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები; ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.cu.edu.ge; ▪ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობით მიმდინარე პროექტების შესახებ; ▪ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედ. პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

4) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განორციელებაში ჩართული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ერთის მხრივ, შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და, ასევე, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 49 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, 21 აკადემიური პერსონალი: 8 პროფესორი (7 აფილირებული), 8 ასოცირებული პროფესორი (7 აფილირებული), 5 ასისტენტ-პროფესორი (3 აფილირებული) და 28 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მიღებული განათლებით, პედაგოგიური გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობით. როგორც უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, აკადემიურ პერსონალს გააჩნია ან შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი და შესაბამის დარგში მრავალწლიანი მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, აკადემიური პოზიცია უკავია პროგრამის რამდენიმე განმახორციელებელ, რომელთაც არ აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი და, მეორე მხრივ, აღნიშნული პერსონალი სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელების ფუნქციას ასრულებენ. აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი, რომელმაც უსდ-სგან არგუმენტირებული პასუხის მიღების შემდეგ, რჩევის სექციაში გადაინაცვლა. ამ ცვლილების საფუძველი გახლდათ (ა) ის ფაქტი, რომ საუბარია საბაკალავრო ნაშრომზე, რომლის ხელმძღვანელობის კომპეტენცია, დიდი ალბათობით, ეყოფა პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალს და (ბ) უსდ-დან მიღებული

პასუხი, რომელშიც ვკითხულობთ: „სკოლის დებულების მიხედვით, საბაკალავრო ნაშრომის თემას და ხელმძღვანელს განიხილავს და ამტკიცებს სკოლის საბჭო, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია საიმისოდ, რომ ზემოთ ნახსენები სტანდარტის დაცვა იყოს უზრუნველყოფილი.“

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, აკადემიური პერსონალის დატვირთვაში, გარდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისა, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურ და არააკადემიურ საქმიანობაში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია არეგულირებს პროგრამის სათანადო რაოდენობის პერსონალით უზრუნველყოფის საკითხს. ამ მოცემულობით არსებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით. თანდართული დოკუმენტაცია ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის მაღალ კვალიფიკაციას და უნარს, უხელმძღვანელოს ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებისა და განხორციელების პროცესს.

პროგრამების შემუშავებისა და განვითარების გარდა, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული არის პროგრამის განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენს აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში. მათი ფუნქციები და მოვალეობები, ასევე, დეტალურადაა გაწერილი კავკასიის უნივერსიტეტის დებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება N08 - „კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის დამტკიცების შესახებ“ (https://cu.edu.ge - ნორმატიული დოკუმენტები)
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება (https://cu.edu.ge - ნორმატიული დოკუმენტები)
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების ბრძანება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სია (საგნების ჩამონათვალი);
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ:

- კვლევით საქმიანობაში (საბაკალვრო თემის ხელმძღვანელად) ჩართული იყოს მხოლოდ ის პერსონალი, რომელსაც კვლევითი მიმართულებით სათანადო გამოცდილება გააჩნიათ და ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის ხელის შეწყობის ინსტიტუციონალურ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, ფუნქციონირებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც გეგმავს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს ყველა იმ აქტივობას, რომელიც მიმართულია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლებში კვლევითი საქმიანობის გააქტიურების ინტერნაციონალიზაციის და მასში რაც შეიძლება მეტი აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართვის ხელშეწყობაზე. 2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზებულ უსდ-ებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-ებთან ერთად მონაწილეობს Erasmus + -ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში „Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD“, რომლის იმპლემენტაციის ფარგლებში უნივერსიტეტს ექნება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი აქტივობების ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულია კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი, რომლის თანახმად, წლის განმავლობაში ორჯერ - დეკემბერში და ივნისში ცხადდება პროექტების მიღება კვლევითი საქმიანობისთვის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად. უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებას, უზრუნველყოფს პრაქტიკული კურსების/ტრენინგების დაფინანსებას, პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში და ვორკშოპებში, რაც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის წვდომას ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა; • მემორანდუმები, შეთანხმებები; • პერსონალის პირადი საქმეები; • კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა, დამტკიცებული კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ (2018 წელი). • უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ: https://www.cu.edu.ge/ka/news-page;

• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა და, შესაბამისად, მატერიალურ რესურსებზე მსჯელობა უსდ-ის კამპუსში ვირტუალური ტურის, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

საბიბლიოთეკო რსურსი

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მომავალი სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს და დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით: EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Sci-val Funding (Funding Institutional), HeinOnline, Taylor and Francis, და Math Scientific Publishing (MSP)-Journals.

სულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 20 605 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals

მატერიალური რესურსი

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, მისამართზე პაატა საკაძის N1. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. შენობაში არის სასწავლო ფართი, კერძოდ, გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: აუდიტორიები, ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, არქივი, ორი კაფეტერია. ეს ყოველივე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიით, როგორიცაა VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერები და ინტერნეტი.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

უნივერსიტეტში არსებული ყველა რესურსი: საბიბლიოთეკო რესურსი, მატერიალური რესურსი და საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის კამპუსში ვირტუალური ტური, ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის ონლაინ-დათვალიერება;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო და აკადემიური ბაზები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- უსდ-ის ვებგვერდი;
- სილაბუსებში დასახელებული ძირითადი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდეგნილი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს.

პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას.

ბიუჯეტი ეკონომიკურად მიღწევადი და რეალისტურია და ასახავს პროგრამის საჭიროებებს, კერძოდ, შრომით ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც, მოიცავს, როგორც აკადემიური და მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან.

შესაბამისად, ბიუჯეტში ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს;
- სასწავლო სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი);
- სალექციო საათების ანაზღაურებას;
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს;
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს;
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ისა და პროგრამის ბიუჯეტი;
- უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი გამოხატავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობის მზადყოფნას. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი მუდმივად მზად არიან არიან, პერსონალს სათანადო კონსულტაცია გაუწიონ, გაუზიარონ ის გამოცდილება, ცოდნა, რომელიც შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში დაეხმარებათ. აღნიშნულს ადასტურებს საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოცდილება.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის შემადგენლობაში შედიან დირექტორი და მენეჯერები , რომლებიც მონიტორინგს უწევენ ანდა ჩართულნი არიან პროცესების ყველა ეტაპში: დაგეგმვაში, განხორციელებაში, შემოწმებასა და განვითარებაში (მიმდინარე შეფასებები, მიღებული შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება). მმართველი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

უსდ-ის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძვნება პრინციპს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე", რაზეც მეტყველებს სასწავლო პროცესთან, ჩართული პირების მუშაობის ხარისხთან დაკავშირებული კვლევების არსებობა. აღნიშნულს, ასევე, მოწმობს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ყოველსემესტრული კმაყოფილების კვლევები, უსდ-ში არსებული სწავლების შედეგების შეფასების პრაქტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებულია და მუშაობს სწავლა-სწავლების, კვლევისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

I. დაგეგმე

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს. უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართულობა.

II. განახორციელე

შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი: (ა) შეიმუშავებს გამოკითხვის (სტუდენტის, კურსდამთავრებულის, აკადემიური, მოწვეული, პერსონალის, დამსაქმებლის) ფორმებს; (ბ) ატარებს სტუდენტთა ანონიმურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების და სხვ. გამოკვლევის მიზნით; (გ) ატარებს აკადემიური, მოწვეული პერსონალის გამოკითხვას პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით; (დ) ატარებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას 5) ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს.

უნივერსიტეტის თითოეული სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მიმდინარე პროცესების ხარისხის შეფასებისა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობთ შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების გზების დასახვის პროცესში.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი გარდა სტუდენტების წლიურ გამოკითხვისა (ე.წ. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა), ასევე ატარებს სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებს, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას. სასურველია სტუდენტებთან და სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრისას მოხდეს ოქმის სახით ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც სასიკეთოდ იქნება გამოყენებული პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის.

III. შეამოწმე

ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ მოწმდება: (ა) საგანმანათლებლო პროგრამები; (ბ) სასწავლო კურსები/კომპონენტები; (გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და (დ) აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

IV. განავითარე

ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და შემდგომ რეაგირებებს.

უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის მექანიზმები მოიცავს როგორც გამოკითხვებს, ასევე ანკეტირებას და გარე შეფასებებს. ამავე დროს, გათვალისწინებულია პროგრამის განვითარების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი აზრებისა და დამოკიდებულებების კვლევა.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

ინსტიტუციის მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტი, უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირებას რაც შემდგომში, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა;
- ხარისხის შეფასების მექანიზმი;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უსდ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ვიზიტის მსვლელობისას ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან და ადმინსიტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით კავკასიის უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. ამ პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

პროგრამების აკრედიტაციის დროს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახდენს ექსპერტთა რეკომენდაციების განხილვას და სკოლებისათვის მათ გაცნობას.

პროგრამის შემუშავების ფარგლებში განხორციელდა ბენჩმარკინგი, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. რამდენადაც გამოიკვეთა, დადარების შედეგად მოხდა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო მაღალი კვალიფიკაციისა და რეპუტაციის მქონე როგორც გარე ასევე შიდა შემფასებლმა (ექსპერტებმა). არცერთი მათგანი არ გახლავთ შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენლები, არ არიან დაინტერესებული მხარეები, შეფასებისას იცავდნენ ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნიათ, როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით< ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, თუმცა გარე ექსპერტის შეფასება ზოგადი ხასიათის იყო.

და ბოლო, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის უნივერსიტეტი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, წარუდგენს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებილ
- ბენჩმარკინგის დოკუმენტი;
- პროგრამის გარე და შიდა ექსპერტთა შეფასება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის განივთარებისთვისსასურველია

- შეფასებით უფრო მკაფიოდ ფიქსირდებოდეს შემფასებელთა რეკომენდაციები, რჩევები, მათი შეხედულება, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ს, რომ ექსპერტის მიერ გაკეთებულ დასკვნები, შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმების განხორციელებაში ჩართულები არიან სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, როგორც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და გამოკითხვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის შედეგებით, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების მეშვეობით.

როგორც ვიზიტის მსვლელობისას აღნიშნეს დაწესებულების წარმომადგენლებმა, ინფორმაცია სისტემურად გროვდება, ანალიზდება და მიღებულ შედეგების შესაბამისად, სათანადო სტრუქტრული ერთეულები რეაგირებენ და გამოვლენილი სისუსტეების გაუმჯობესებაზე მიმართულ ღონისძიებებს ახორციელებენ. შესაბამისა, კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის განახლების უზრუნველსაყოფად და განსავითარებლად, მისი ეფექტიანობის შესაფასებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (რაც ვიზიტის დროსაც დაადასტურეს უსდ-ის წარმომადგენლებმა), საკმაოდ მაღალია სტუდენტთა გადინება (ბოლო მონაცემებით, 120 სტუდენტიდან 30 სტუდენტი გადავიდა მობილობით სხვა უსდ-ში), რაც საყურადღებო და სათანადოდ შესასწავლი საკითხია. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უსდ-დან მიღებული არგუმენტირებული პასუხში ვკითხულობთ: „უნივერსიტეტი და, შესაბამისად, სკოლა ყოველთვის (მობილობის ყოველი ეტაპის დასრულებისას) ახორციელებს შიდა და გარე მობილობით სტუდენტთა გადინების ანალიზს და წარუდგენს მას უნივერსიტეტის პრეზიდენტს და უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს. მმართველ საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია თითოეული გადამსვლელი სტუდენტის შესახებ. მმართველი საბჭო განიხილავს მიზეზებს და გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნულის შესახებ სკოლის და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან შეხვედრაზეც ისაუბრეს და დაასახალეს სტუდენტთა გადასვლის ძირითადი მიზეზები." აღნიშნული პასუხის მიღების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადასინჯა უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვერ მოახერხა მსგავსი ანალიზის აღმწერი დოკუმენტის მოძიება. ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუირებისას უსდ-ის წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ ცალკე მიზნობრივი გამოკითხვა არ ხორციელდება მობილობის საკითხთან დაკავშირებით და თითოეულ გადასულ სტუდენტთან პირადი გასაუბრების მეშვეობით დგინდება გადინების მიზეზები. ინდივიდუალური მიდგომა ნამდვილად მისაღები და, მეტიც, საუკეთესო პრაქტიკაა, თუმცა ამ გზით აკუმულირებული მონაცემების ერთიანი, ფორმალიზებული ანალიზი არ არის ჩვენს მიერ განხილულ დოკუმენტაციაში. აქედან გამომდინარე, უსდ-ის პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული. შესაბამისად, რეკომენდაცია უცვლელად რჩება დასკვნის საბოლოო ვარიანტში. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით ან სხვა)აღნიშნულ კურსს. სტუდენტები ასევე აფასებენ სერვისებს, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში: საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა მომსახურებასთან, ასევე სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით ხორციელდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. დადარების შედეგად ხდება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის შეფასების ანგარიში; • შედარებითი ანალიზი ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე; • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა; • ადმინისტრაციასთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: • გარდა ამ გამოკითხვებისა და შეფასებებისა, უნივერსიტეტმა იკვლიოს ისეთი საყურადღებო საკითხი, როგორიცაა მობილობით გადასული-გადმოსული სტუდენტები, რათა დეტალურად იყოს ცნობილი, რამ განაპირობა მობილობით სტუდენტთა გადინება ან პირიქით, მათი აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლა. კვლევის ანალიზი საშუალებას მისცემს უსდ-ს შეისწავლოს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში, ხოლო მობილობით გადმოსულ სტუდენტთა გამოკითხვა დაეხმარება ინსტიტუციას შეისწავლოს სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის არჩევის ფაქტორები, მოლოდინები, შეაფასოს უნივერსიტეტის იმიჯი, ცნობადობა სამიზნე აუდიტორიაში. ამრიგად,

რეკომენდებულია სისტემატური კვლევით შეგროვილი მონაცემების მეტად შინაარსობრივი და დეტალური ანალიზის განხორციელება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	▯			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 31

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	▯			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ბურდული



ნინო პატარაია

სოფიკო შარაბიძე